შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისა და ბლაგოევგრადის ნეოფიტრილსკის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის ,,სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია გლობალიზაციის პროცესში“ მონაწილეთა რეზოლუცია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისა და ბლაგოევგრადის ნეოფიტრილსკის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენმა ბულგარეთიდან, თურქეთიდან, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან და საქართველოს წამყვანი სასწავლო -სამეცნიერო დაწესებულებებიდან მიიღეს რეზოლუცია, რომლის ცხოვრებაში გატარებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის და მათ შორის რეგიონის რეგიონალურ ინტეგრაციაში გაწევრიანების, რაც მოხსნის ქვეყნის მასშტაბით რესურსულ შეზღუდულობას, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას. კონფერენციის მასალებიდან სამომავლოდ გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური პრობლემის (წინადადებების) გადაწყვეტის აუცილებლობა.

1. კონფერენციის მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო კვლევების ჩატარება სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის საკითხებზე გლობალიზაციის პირობებში;
2. სუბტროპიკული მეურნეობის თანდათანობით აღორძინებისათვის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის (ხელვაჩაური, ქობულეთი) მხრიდან ხელშეწყობა;
3. სოფლად კოოპერატივების შექმნის იდეის განხორციელება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე;
4. დეგრადირებული და გატყევებული ჩაის კულტურის პლანტაციების რეაბილიტაციისა და და ნიადაგების რეკულტივაციისაათვის შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების (ხელვაჩაური, ქობულეთი) მიზნობრივი პროგრამით ხერლშეწყობა;
5. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ფუნქციების გაზრდა, ფერმერთა და მეცნიერთა შორის კავშირების დამყარება;
6. მაღალხარისხოვანი არომატული თამბაქოს კულტურის წარმოებისათვის ფერმერული მეურნეობის გამოყოფა;
7. მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიური უსაფრთხო კონცეფციის შემუშავება და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენა შემდეგი დანერგვის მიზნით;

8. გენმოდიფიცირებული პროდუქციის გამოყენების არსი და ეკოლოგიურად, სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა ფერმერთათვის;
9. ტყეების, აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა შენარჩუნებისათვის ღონისძიებების მომზადება;
10. ახალი პერსპექტიული ბოსტნეული კულტურების (ბამია, ბროკოლის კომბოსტო და სხვა) დანერგვის ღონისძიებების შემუშავება;
11. ციტრუსოვანთა პერსპექტიული ჯიშებისა და ფორმების დანერგვისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეწყობა;
12. მცენარეთა სახეობისა და ჯიშის მიხედვით კულტურათა სწორი გაადგილება და ნიადაგში მოძრავი საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და ა. შ.) არსებობის სისტემატური კონტროლი.

აღნიშნული წინადადებების განხორციელებაში მხარდაჭერასა და თანადგომას იღებს ბულგარეთის მხარეც.